პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 22 მაისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი მეომარი

112 (810) 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

**მე-2 ე დივიზიის ყველა ნაწილების ბიურო-კოლექტივის და კომუჯრედის მდივნებს**

პოლიტგანყოფილება წინადადებას გაძლევთ ახლო მომავალში გარჩეულ იქმნას რ. კ. პ.-ს მე 14-ე პარტკონფერენციის რეზოლიუციები და დადგენილებები. მასალები მოთავსებულია გაზ. „კომუნისტის" №№ 98, 99, 107, 108.

პოლიტგანის უფროსის მაგიერი საორგანიზაციო ნაწილის უფროსი **ბლუაშვილი.**

## სიმართლის კიდევ ერთი საბუთი.

ამ რამოდენიმე დღის წინად საქართველოში ჩამოვიდენ ...ეხთა ინტერნაციონალის ...მასკომის წევრები ამხ. მილოლი და მასარენტი.

მათი ჩამოსვლის მიზანია ...მოლოდ გაეცნონ ჩვენი ...ეხობის ყოფა ცხოვრებას ... აქ ადგილზე გამოარკვიონ ... რამდენათ შეეფერება სი... ...ფვილეს ის ხმები, რომელ...ც გამყიდველი მენშევიკები ... იმპერიალისტებიავრცელე...ნ ჩვენს შესახებ საზღვარ გა...თ.

...ჩამოსულ ამხანაგებმა უკვე ...ინახულეს ჩვენი ქვეყნის ...გიერთი ნაწილები.

...ამ დათვალიერების შედეგად ...ყვა ამხ. მილოლის წერილი „...იმართლის ერთი ფურცელი", ...მელიც გამოქვეყნდა ჩვენს ...ზეთებში.

...ამხ. მილოლის წერილი კი...ვ ერთი ზედმეტი ლახვარია ...ჭოთა ხელისუფლების მტრე...ს თავზე. ეს ძვირფასი საბუ... თავიდან ბოლომდი აბათი...ებს იმ ცილისწამებას, თით...ს ქართველი გლეხები და...ნავებული იყვნენ და ჩვენი ...ფელი მოკლებული იყოს ...ნვითარების ყოველივე სა...ალებას. ამხ. მილოლი დაწ...ილებით აღწერს მას, თუ ...გორი მიღწევებია დღევან...ლ ქართულ სოფელში, თუ ...გორ ვითარდება სასოფლო-...ეურნეო, საკრედიტო და ...ომხმარებლო კოოპერაცია და ...ვა.

„საქართველოს აღორძინე...ს ისტორია იწერება არა მა...ტო ქალაქებში, არამედ სოფ...ებშიაც, რომ ამ აღორძინე...ყველაზე მეტად განიცდიან ...ის წყნარი და მკლავ-მაგარი მუშები" ამბობს ამხ. მილოლი. და შემდეგ „უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ამ ხალხს განაგებს ისეთი ხელისუფლება, რომელიც ზრუნავს მის განათლებასა და განვითარებაზე".

ეს სიტყვები პირდაპირ სცემენ ჩვენ მტრებს.

ეს ორი ამონაწერი, რომელიც ეკუთვნის საზღვარ გარეთის მშრომელი გლეხობის წარმომადგენელის კალამს საუცხოვოდ აბათილებენ მენშევიკების და ბურჟუაზიის საზიზღარ ცილისწამებას.

ცხადია ქართველ კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციაში ამხ. მილოლის წერილი დიდ მითქმასა და აღშფოთებას გამოიწვევს. ქართველი თეთრგვარდიელები კვლავ დაიწყებენ ყვირილს ამ წერილის უსაფუძვლობაზე. მაგრამ ამისგან მათ არაფერი არ გამოუვათ. მათი სიცრუე საკმაოდ გამოაშკარავებულია.

ყველა ქვეყნის გლეხები, თავის წარმომადგენელის პირიდან, მალე გაიგებენ სიმართლეს ქართველ მშრომელთა ცხოვრების შესახებ.

ეს სიმართლე შემდეგნაირად აქვს გამოთქმული ამხ. მილოლს თავის წერილში.

**„ეს სამაისო ქვეყანა, მდიდარი ყოველგვარი შესაძლებლობით, რომელსაც თავს დასტრიალებს რევოლიუციონური სული და მშრომელთა მასების მხურვალე შეგნება—განთავისუფლებულია საზიზღარი სიმძიმისაგან—წინანდელი მთავრობის რეჟიმისაგან და სამუდამოთ შენარჩუნებულია თავისუფლების გზისათვის".**

## ...ტი ყურადღება პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მხრივ მომავალ შეკრებას.

...ივნისის პირველ რიცხვებში ...ხდება გამოწვევა 1902 წე...ში დაბადებულ ახალგაზრდ...ის ტერ ნაწილებში. გამოწ...ვის მიზანია 3 თვის განმავლობაში მოამზადოს ახალგაზრდობა ცვალებად შემადგენლობაში ჩასარიცხავად. საერთო ტერიტორიალურ შეკრებაც შემოდგომაზე მოხდება.

# ახალი რადიო-ამბები

### ხმები ევროპის ბანკების ანტისაბჭოთა შეთანხმების შესახებ.

ხმებია, რომ ბერლინის ფინანსიურ წრეებში არ უყურებენ სერიოზულად რეიხსბანკის უარყოფას ანტისაბჭოთა შეთანხმების შესახებ ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის სახელმწიფო ბანკებთან.

ფიქრობენ, რომ ამ აუარყოფას მიზნად აქვს თავიდან აიშოროს პოლიტიკური სიძნელენი და სამეურნეო რეპრესიები საბჭოთა კავშირის მხრივ.

### ბრიტანეთის კრედიტორების ცირკულიარი.

ინგლისელმა რუსეთის კრედიტორების კავშირმა გამოაქვეყნა ცირკულიარი, რომელშიაც აცხადებს, რომ მხოლოდ ინგლისის კრედიტორების დაკმაყოფილებას შეუძლია საფუძვლად დაედოს ყველა საკითხების გადაჭრას ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის და საბჭოთა კავშირის კრედიტის აღდგენას. ცირკულიარი თავდება შემდეგი სიტყვებით: „არავითარი კონცესია არ არის საკმარისი ციმბირში და სხვაგან, რომ აღდგენილ იქნას საბჭოთა კავშირის კრედიტი და ნდობა".

### მოითხოვენ კავშირს საბჭოთა პროფკავშირებთან.

იტალიის ხე-ტყეზე მომუშავეთა ფედერაციის კონფერენციაზე შეტანილ იქნა წინადადება, რათა იტალიის შრომის კონფერენციამ ინგლისის პროფკავშირების მაგალითის მიხედვით დასდოს შეთანხმება საბჭოთა პროფკავშირებთან პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ.

კონფერენციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის მომხრე იქნება ისეთი შეთანხმებისა, თუ რომ საბჭოთა პროფკავშირები მოგვცემენ გარანტიას, რომ პატივს სცემენ ჩვენს ბელადებს და დაიცავენ დისციპლინას.

როგორც წინასწარ მოსამზადებელი, აგრეთვე საერთო შეკრება ჩვენში პირველად ხდება, ამიტომ უნდა გათვალისწინებულ იქმნას ყველა ის დაბრკოლებანი, რომლებიც ამ პირველ ცდას ხელს შეუშლიან და პირველ ხანებში არ მოგვცემენ საშუალებას ამოცანის უნაკლოდ გადაჭრისას. ბევრი ითქვა იმ უდავო დებულების შესახებ, რომ შეკრების ნაყოფიერათ ჩატარების ერთ პირობას წარმოადგენს მოსახლეობის მომზადება გამოწვევისათვის.

მუშათა მასსამ და გლეხობამ უნდა იცოდეს რა მნიშვნელობა აქვს ტერიტორიალურ დივიზიაში გაწვევას. უნდა ითქვას რომ ტერსისტემის მნიშვნელობა ჯერ კიდევ ბევრს არ აქვს შეთვისებული, ე. ი. ჩვენ ვერ შევძელით მოსახლეობისადმი შეკრებების მიზან დანიშნულების ჯეროვანად გაცნობა.

ეს უნდა ვთქვათ აშკარათ სანამ გვიან არ არის და ეხლა მაინც მივმართოთ ყოველ ღონისძიებას ამ საქმის მოსაგვარებლად.

უნდა გამოვაღვიძოთ საზოგადოებრივი აზრი და მოუხმოთ მას დახმარებისაკენ. ანბანურ ჭეშმარიტებათ უნდა გადიქცეს ჩვენი უფპოლიტშემადგენლობისათვის სამოქალაქო ორგანიზაციების დახმარების აუცილებლობა.

თუ დღემდი ჩვენი საკუთარი ძალებით კიდევ ვახერხებდით მუშაობას, ეს შეკრებების დროს შეუძლებელი იქნება.

რომ შესაძლებელი გახდეს სამოქალაქო ორგანიზაციების ჩაბმა ჩვენს მუშაობაში, რომ მათი მხრივ დივიზიამ იგრძნოს ნამდვილი დახმარება, ამიტომ საჭიროა არა მარტო დადგენილებების ან რეზოლიუციების გამოტანა ამა თუ იმ ორგანოს მიერ, არამედ საჭიროა პარტორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოების მხრით აქტიური მონაწილეობის მიღება. ტერსისტემის პროპაგანდაში საერთოდ და მომავალ შეკრებაში კერძოთ მათ უნდა გაინაწილონ ჩვენთან ერთად ამ ამოცანის გადაჭრა.

შეკრება ახლოვდება, საქმე დაყოვნებას არ ითმენს.

**ადამაძე.**

### საფრანგეთის ავანტიურის შესახებ მაროკოში.

კომუნისტების შემდეგ საფრანგეთის მემარცხენე ბლოკიც



საფრანგეთის მაროკოს საოკუპაციო ჯარების მთავარ სარდალი, გენერალი **ლიოტე.**

კი შეწუხებულია საფრანგეთის ავანტიურით მაროკოში.

გაზ. „კოტიდიენი" მოითხოვს მთავრობისაგან სიმართლეს და თან აქვეყნებს წერილს, რომელიც ააშკარავებს უზენაეს კომისარის პოლიტიკას.

ბურჟუაზიული პრესა მიმართავს ხრიკებს და ბრალს სდებენ კომუნისტებს რიფებს შორის პროპაგანდასა და მათ წაქეზებაში. ის მოითხოვს რიფების ოლქების სრულიად დაპყრობას.

გზადაგზა ბრალს სდებენ კომუნისტებს და სოციალისტებსაც კი და მოითხოვენ მათ დასჯას.

„იმანიტე" აქვეყნებს ცნობებს საფრანგეთის ჯარების დაპრკოლებებზე და მათ მსხვერპლის შესახებ რიფებთან ბრძოლაში.

### ახალი პროცესი სოფიაში.

სოფიაში დაიწყო ნიკოლოვასა და სხვათა გასამართლება რომელთაც ბრალად ედებათ კომუნისტების დაფარვა. ბრალდებაში არავითარი მართალი საბუთი არ არის, მაგრამ პროკურორი მაინც მოითხოვს ბრალდებულთა სიკვდილით დასჯას, ფრანგ მარლეს გარდა.

მთავარი ბრალდებულ ადელ ნიკოლოვამ, რომელიც ცნობილია თავისი ქველმოქმედებით, განაცხადა, რომ მან მიიღო თავის ბინაზე დაჭრილი ფრიდმანი კაცთმოყვარეობის გამო.

ბრალდებული მამაკაცები მოჰყავთ სასამართლოში ბორკილებით.

# საბჭოთა კავშირში

### მოსავლის საქმის გამოკეთება.

ამ ბოლო დროს წვიმების მოსვლის გამო აფხაზეთის ყველა მაზრებიდან მოდის ცნობები, რომ ნათესი და საერთოდ მოსავალი საგრძნობლად გამობრუნდა.

### ფასების დაკლება.

სუხუმის მუშათა კოოპერატივმა დაუკლო ფასებს საქონელზე 10 პროცენტით. მანუფაქტურაზე კი დაუკლო ფასები 10-30 პროც.

### უფასო საექიმო დახმარება.

ფოთის წითელი ჯვრის განყოფილებამ გახსნა ამბულატორია და აფთიაქი მუშათა რაიონში ნახუტურში. მოსახლეობა უფასოდ სარგებლობს საექიმო დახმარებით.

### რიონის ხიდი.

დამთავრდა რკინისგზის ხიდის აგება მდინარე რიონის ჩრდილოეთ ტოტზე. 24 მაისს მოხდება ხიდის საზეიმო გახსნა.

# სრულიად საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობა.

## მეცნიერების მუშაკები ესალმებიან ყრილობას.

**20 მაისის საღამოს სხდომა.**

სხდომა გახსნა ამხ. კალინინმა.

მეცნიერების მუშაკთა სახელით ყრილობას მიესალმა ლენინგრადის ინსტიტუტის რექტორი გერმერი. მან აღნიშნა მუშურ-გლეხური ხელისუფლების მიღწევები მეცნიერების დარგში და განაცხადა: „ხელისუფლება, რომელიც სცდილობს ფართე მეცნიერული ცოდნა მიანიჭოს მშრომელთა მასებს, მუდამ ძლიერი იქნება“.

**სამანდატო კომისიის მოხსენება.**

შემდეგ მოხსენება გააკეთა სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ სირცოვმა, რომელმაც სხვათა შორის აღნიშნა, ქალთა დიდი რაოდენობის მონაწილეობა მიმდინარე ყრილობაზე და განაცხადა, რომ ეს ამტკიცებს მუშა და გლეხ ქალთა აქტიურ მონაწილეობის გაძლიერებას საბჭოთა აღმშენებლობაში.

მოხსენება ერთხმად დაამტკიცა ყრილობამ.

**საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

ამ საკითხის გარშემო სიტყვით გამოვიდა ენუქიძე, რომელმაც განაცხადა, რომ თურქმენთა და უზბეკთა რესპუბლიკების საბჭოთა კავშირში შემოსვლის გამო, საჭიროა შეტანილ იქნას კონსტიტუციაში სათანადო ცვლილებები.

ენუქიძის მიერ აღნიშნული ყველა შესწორებანი ერთხმად მიიღო ყრილობამ.

შემდეგ ყრილობამ მიიღო ცანარჩენ დელეგატების მიერ რეზოლიუციებში შეტანილი შესწორებები.

**საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს შემადგენლობის შესახებ.**

ამ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ენუქიძემ.

— კომისიამ—განაცხადა მან —დაისახა სამი ამოცანა.

პირველი ის არის, რომ ცაკის მომავალ მუშაობაში მიზიდულ უნდა იქნას უპარტიოთა, მუშათა და გლეხთა ფართე წარმომადგენლობა. ეს წარმომადგენლობა შედარებით წარსულთან ერთი-ორად უნდა გაიზარდოს.

მეორე ამოცანა—ეს არის მიენიჭოს მეტი ადგილი ეროვნულ რესპუბლიკების წარმომადგენლებს.

მესამე ამოცანაა—ჩათრეულ იქნას კავშირის ცენტრალურ ორგანოს მუშაობაში მეტი წარმომადგენლები ადგილებიდან.

საკავშირო საბჭოს წევრთა შემადგენლობაში შეყვანილია მომუშავეთა დიდი რაოდენობა დაზგიდან და გუთნიდან.

2 ახალი რესპუბლიკების წარმოშობის მიზნით საკავშირო საბჭოების საერთო წევრთა რიცხვი უდრის 450, გასული წლის 414 შედარებით.

წინადადება საკავშირო საბჭოს წევრების, კანდიდატებისა და მათი რესპუბლიკებში განაწილების შესახებ ერთხმად მიიღო ყრილობამ.

შემდეგ მომხსენებელმა გამოაცხადა საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს წევრთა სია, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული ყრილობის მიერ.

**ამხ. კალინინის საბოლოო სიტყვა.**

საბოლოო სიტყვაში კალინინმა გამოსთქვა სამი სურვილი: პირველი—რათა შრომის ნაყოფიერების ამაღლების კამპანია გაძლიერებულ იქნას.

მეორე სურვილს წარმოადგენს კარგი მოსავალი მიმდინარე წელში. თუ ჩვენ გვექნება საშუალო მოსავალიც კი, ესეც საკმარისია, რომ აამაღლოს ჩვენი მუშაობა ქვეყნის საწარმოო ძალთა აღდგენის საქმეში. და მესამე სურვილი,—რომ ყველა დელეგატებმა ფართედ გააცნოს მოსახლეობას ყრილობის გადაწყვეტილებები. ბოლოს კალინინი კითხულობს გროზნოდან მიღებულ დეპეშას, რომელშიაც ნათქვამია, რომ „გროზნონევტი“-ს ხუთი წლის თავზე ამოხეთქა ახალმა შადრევანმა, რომელიც იძლევა დღე და ღამეში 120.000 ფუთ ნავთს, რაიც ადიდებს გროზნოს სარეწავოების ნაყოფიერებას სამი მილიონი ფუთი ნავთით თვეში.

კალინინის სიტყვა მქუხარე ტაშმა დაჰფარა.

ყრილობა დამთავრებულად იქნა გამოცხადებული. დეპუტატებმა იმღერეს ინტერნაციონალი.

**დეპუტატები ხალხში აირია.**

ყრილობის დასრულების დროს სვერდლოვის ქუჩაზე დიდი თეატრის შენობასთან დიდძალი ხალხი შეგროვდა. დეპუტატები გამოსვლისას ხალხში აირია. მთავრობის წევრებს ხალხი შეხვდა მქუხარე ტაშით და „ურას“ ძახილით. კალინინს ხანგრძლივი ოვაციები გაუმართეს.

საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობის ანგარიში.

**სტეკლოვის წერილი.**

გაზეთ „იზვესტიაში“ ამხ. სტეკლოვი ჯამს უკეთებს საკავშირო საბჭოთა ყრილობის მუშაობას და სწერს:

„ყრილობამ პირველ ყოვლისა დაგვანახა საბჭოთა ფედერაციის ყველა ხალხთა ერთიანობა. ასეთივე ერთიანობა შემჩნეული იყო საბჭოთა საზოგადოების ძირითად სოციალურ ჯგუფებს შორის.

გლეხის ხმა აქ უფრო მკაფიოდ ისმოდა ვინემ სხვისი და მას ცენტრალური ადგილი ეჭირა ყრილობაზე. ეს კარგია. მრავალმილიონიანი გლეხთა მასები უნდა დარწმუნდენ პრაქტიკაზე და იგრძნონ, რომ პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფო მხურვალედ დაინტერესებულია სოფლის კეთილდღეობასა და მის ყოველმხრივ განვითარებაში,—პოლიტიკურად, ეკონომიურად და კულტურულად, რომ ეს მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გლეხობის საჭიროებაზე ზრუნავს.

ყველა თავის ერთა ერთიანი და სოლიდარული შრომით, მათი კანონიერი უფლებების მტკიცედ დაცვით, მშვიდობიანი პოლიტიკის გატარებით საერთაშორისო ურთიერთობაში—საბჭოთა ხელისუფლება დასძლევს ყველა, პოლიტიკურ და ეკონომიური ხასიათის დაბრკოლებებს, რომლებიც წინ ელობება მას სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე.

აი რა სთქვა საკავშირო მესამე ყრილობამ.“

---

## სრულიად საკავშირო პრესის მომუშავეთა ყრილობა.

### კამათი ბასეიკისის მოხსენების გარშემო.

მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ბლინხინმა, ისტალმა, სტალმა ვლადიმიროვმა და სხვა.

შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ბარეიკისმა რომელმაც სხვათაშორის აღნიშნა, რომ საბჭოთა პრესის ძლიერი ზრდა მოითხოვს კვალიფიციურ მუშაკებს. ასეთ მუშაკებს მოგვცემს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობა და უმაღლესი სასწავლებლები.

საღამოს სხდომაზე გაგრძელდა მოხსენები საგაზეთო გაერთიანების, წიგნის გამომცემლობისა და სახელმწიფო გამომცემლობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო გამომცემლობის მთავარი ცენტრი გადატანილ უნდა იქნას მასიური ლიტერატურის გამოცემისაკენ.

---

## „პირადად მე ბოლშევიკების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს—მე მხოლოდ სხვებს ვაფრთხილებდი მათი მოქმედებისაგან“.

ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კალფოვმა „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ის აღარ მოითხოვს დაჟინებით ინგლისის მთავრობისაგან ვადის გაგრძელებას ანტანტის მიერ ნებადართულ ბულგარეთის ჯარის 13.000 კაცამდე გადიდების შესახებ. კალფოვის სიტყვით მასიური აჯანყების საფრთხე ბულგარეთში აშორებულია.

---

## დაპატიმრება ბულგარეთში.

ბულგარეთში გრძელდება კომუნისტებისა და გლეხთა კავშირის წევრთა დაპატიმრება, რომელთაც ბრალს სდებენ კომუნისტურ პარტიისადმი თანაგრძნობაში.

ამ ბოლო დღეებში დააპატიმრეს მრავალი სტუნდენტები და გიმნაზიელები.

---

## ახალი ფას დაკლება მანუფაქტურაზე.

გაზეთებში უკვე გამოქვეყნდა ამიერ-კავკასიის შინა—ვაჭრობის კომისარიატის დადგენილება მანუფაქტურაზე (ბამბეულობაზე) ახალი ფასდაკლების შესახებ. დაწყებული 1923 წლის შემოდგომიდან დღემდე ეს მეხუთედ მოხდა ფასების დაკლება მანუფაქტურაზე. ყველას გვახსოვს თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ქალაქის წარმოება იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების დამთავრების შემდეგ.

გვახსოვს აგრეთვე, ამ ომების დროს, თუ როგორ დაინგრა ფაბრიკა ქარხნები და როგორ მოიშალა სოფლის მეურნეობა. საჭირო იყო დიდი დრო და მუშებისა და გლეხების თავდადებული მუშაობა, რომ ქალაქის ჩამოქვეითებული წარმოება და სოფლის მოშლილი მეურნეობა კვლავ განახლებულიყო და ჩამდგარიყო ნორმალურ კალაპოტში.

ს. ს. რ. კავშირის მუშებმა და გლეხებმა შეერთებული და დაუღალავი შრომით მართლაც თავი დააღწიეს ამ მდგომარეობას. სულ რამოდენიმე წლის განმავლობაში აღადგინეს ქალაქის ყოველი წარმოება და სოფლის მეურნეობა.

სამოქალაქო ომის დამთავრების პირველ წლებში ქალაქისა და სოფლის ნაწარმოების ფასები ძლიერ დაშორდენ ერთი—მეორეს („მაკრატელი“), რითაც აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა ჩვენი სოფლის ულარიბესი გლეხობა.

ამ არა ნორმალურ მდგომარეობას საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია სათანადო ყურადღება; ერთდა იმავე დროს ასწია სოფლის ნაწარმოების ფასები და ქალაქისას კი დაუკლო საგრძნობლათ.

ქალაქის ნაწარმოებზე დღემდე დაკლებული ფასები უდრის 62, 7 პროცენტს.

ამ ფასების დაკლებას აქვს დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა ს. ს რ. კავშირის მუშების, გლეხების და საერთოდ მთელი მოსახლეობისათვის.

უკანასკნელ ფასდაკლება მანუფაქტურაზე (ბამბეულობაზე) თუმცა არ აღემატება 10 პროც., მაგრამ ეს მაინც მაჩვენებელია იმისი, რომ ჩვენი ქალაქის წარმოება სწრაფად მიიწევს წინ, რითაც ერთის მხრით შემსუბუქდება ულარიბესი გლეხების მდგომარეობა და მეორეს მხრით კი სოფელი უფრო მჭიდროთ დაუკავშირდება ქალაქს.

მ—ი.

---

# სამხედრო საქმე.

## შენიღბვის სწავლება.

### ნილაბ-მანევრის გამოცდილების მიხედვით.

### წერილი 1-ლი.

სამხედრო ტეხნიკა დღითიდღე ვითარდება. დღეს ყველა ქვეყნების არმიები თავით ფეხებამდი შეიარაღებული არიან ცეცხლ-მსროლი იარაღებით: შაშხანით, ტყვიამფრქვევით, ქვემეხებით; ეს იარაღები თანდათან უმჯობესდება. ცეცხლი ბრძოლაში, იმდენად მარჯვე, ძლიერი და განმანადგურებელი გახდა, რომ შეუნიღბავად მტერზე მიახლოება თითქმის შეუძლებელია.

თუ რომ ამას მიუმატებთ ავიაციას, აშკარა გასაგებია, რომ შენიღბვამ დიდი მნიშვნელობა მოიპოვა. და ის ვინც არ აქცევს ამ საკითხს სათანადო ყურადღებას, ის, ვინც არ აძლიერებს შეუჩერებლივ შენიღბვის დისციპლინას,- წინასწარ განწირულია და უეჭველი დამარცხება მოელის. რაში მდგომარეობს შენიღბვის შინაარსი,—ეს უკვე ესმის ყოველ მეომარს. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის მისწრაფება შეცდომაში შეიყვანო და მოატყუილო მტერი ყოველგვარ საბრძოლო გარემოებაში, დაჰფარო მისგან შენი ნამდვილი მდგომარეობა, შენი განზრახვა და შეუქმნა მოწინააღმდეგეს ყალბი წარმოდგენა შენსა და შენი მოქმედების შესახებ.

რომ პრაქტიკულად გამორკვეულიყო, თუ შენიღბვის როგორი ხერხი და საშუალება უმჯობესი და უფრო მიზანშეწონილია თანამედროვე ბრძოლის პირობებში,—ამისათვის გასული წლის აგვისტოში ერთ სამხედრო ოლქში ჩატარებულ იქნა ორ მხრივი ნილაბ—მანევრი.

მანევრში შედიოდა ჯარების მოქმედების ოთხი მთავარი სახე: ლაშქრული მოძრაობა, დასვენება სიფრთხილის ზომებით, მოგერიებითი ბრძოლა და შეტევითი ბრძოლა იერიშით.

მანევრმა მოგვცა მთელი რიგი ძვირფას პრაქტიკულ დასკვნებისა, რომლებიც განსაკუთრებით სასარგებლოა დღეს, როცა ჩვენი ნაწილები იწყებენ საველე მეცადინეობის ჩატარებას და სადაც ყოველ ნაბიჯზე მოუხდებათ ანგარიში გაუწიონ შენიღბვის აუცილებლობას.

შენიღბვის თუ როგორი საშუალება და ხერხი უნდა იხმარო ჯარების მოქმედების ამა თუ იმ საბრძოლო შემთხვევაში, ამის შესახებ ჩვენ ვილაპარაკებთ იმ თანდათანობით, როგორც ეს ხდებოდა ნილაბ—მანევრზე.

ამასთან აუცილებლად უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ვინაიდან შენიღბვის საშუალება და ხერხი მეტად მრავალგვარია, ჩვენ ვილაპარაკებთ მხოლოდ იმათ შესახებ, რომლებიც მართლაც იხმარებოდენ მანევრზე. ცხადია, ჩვენი მითითება შეეხება შენიღბვის ხერხისა და საშუალებათა მხოლოდ ნაწილს.

მათი გაცნობის შემდეგ ყოველი შეგნებული მეომარი შესძლებს გამონახოს კიდევ სხვა საშუალებანი, რომლებიც შეავსებენ უკვე პრაქტიკაზე (მანევრზე) გასინჯულს.

პ.

# სამხედრო ქიმია.

## გაზებისაგან თავდაცვა.

იცავს რა გაზებით თავდასხმის დროს თავის თავსა და ამხანაგებს, ყოველ მეომარს უნდა ახსოვდეს, რომ მის მოვალეობაში შედის აგრეთვე დაცვა მის ოთხფეხი მებრძოლ მეგობრების: ცხენების, ძაღლების და აგრეთვე საფოსტო მტრედების. მტრედების დაცვა ძნელი არ არის, ვინაიდან ისინი ჯდებიან ყოველთვის განსაკუთრებულ გალიებში, რომლებიც ჰგვანან „საზოგადოებრივ გაზის საწინააღმდეგო,-გაზებისაგან თავშესაფერს“. ასეთ გალიაში გაზი ვერ შედის, მასში შედის მხოლოდ სუფთა ჰაერი.

გაზისაგან არც ძაღლის დაცვაა ძნელი, ვინაიდან ძაღლი გაბედული და ჭკვიანი ცხოველია და რა დიდი ბრძოლა და სროლაც არ უნდა იყოს, ძაღლი არ შეშინდება და დამშვიდებით შეიძლება ჩამოაცვა თავზე გაზის საწინააღმდეგო ნილაბი ან მომწამვლელ გაზისაგან დამცველი ფეხსაცმელი.

სულ სხვაა ცხენის დაცვის საქმე. ეს მშვიდი და დამჯერო ცხოველი მშვიდობიან დროს, მოულოდნელად ატეხილ სროლის, საერთო ფაცაფუცში და გაზის პირველ გამოჩენისთანავე, დაიწყებს ნერვიულობას და ფრთხობას. მისი შიში უფრო ძლიერდება, თუ რომ მეომარი გაზებით თავდასხმის დროს თვითონ დაიბნევა, იწყებს ფუსფუსს, დაუწყებს ყვირილსა და განსაკუთრებით, ცემას ცხენს როცა ის არ ანებებს ჩამოაცვას თავზე გაზის საწინააღმდეგო ნილაბი.

ამ შემთხვევაში ცხენმა შეიძლება წიხლიც გაარტყას მეომარს და თვით მასაც გაუფუჭოს გაზის საწინააღმდეგო ნილაბი. მხოლოდ მშვიდად, დაუბნევლად, აუჩქარებლად და წყნარად მომქმედ მეომარს შეუძლია ჩქარა ჩამოაცვას ცხენს გაზის საწინააღმდეგო საშუალება. ამ შემთხვევაში ყოველთვის გამოირკვევა, თუ რამდენად მოემზადა მეომარი და რამდენად მოამზადა თავისი ცხენი მშვიდობიან დროს—ომის და გაზებისაგან თავდაცვისათვის.

თუ რომ მეომარმა გამოიმუშავა თავის თავში სიმშვიდე და მოხერხება, გაზებით თავდასხმის დროსაც ის იქნება მშვიდი, მშვიდად მივა გაზის საწინააღმდეგო ნილაბით ცხენთან და ისიც ადვილად დაანებებს გაზის საწინააღმდეგო ნილაბის ჩამოცმას; ხოლო თუ მეომარი დაიწყებს ღელვას, მისი ცხენიც შეშინდება და დაიწყებს ნერვიულობას, ვინაიდან ცხენი გრძნობიერი და თავისი პატრონის—მეომარის გამგები ცხოველია და მეომრის შიშსა და დაბნევას ცხენიც იგრძნობს და თვითონაც შეშინდება.

დაიცავ თუ არა ცხოველს გაზის საწინააღმდეგო ნილაბით არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ეს იქნება ც ხ ო ვ ე ლ ი ს თ ა ვ ი ს დაცვა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ არსებობს კიდევ მ უ წ უ კ ე ბ ი ს გამჩენი გაზები, რომლებიც გამოესხმიან ცხოველს მთელ ტანზე, კანზე. ამიტომ საჭიროა, რომ გაზებით თავდასხმის შემდეგ გულდასმით, საპნით ან ნაცრით უნდა დაჰბანო ცხოველს მთელი სხეული.

ლ. ვორონოვი.

# მომავალ ტერ-შეკრები-სათვის.

ამა წლის ივნისში მთელ [ამ]იერ-კავკასიაში დანიშნულია 1902 წელში დაბადებულ და [ტ]ერნაწილებზე მიწერილ სამ[ხ]ედრო ვალდებულთა პირვე[ლ]ი შეკრება.

ეს შეკრება ნაანგარიშევია [ს]ამი თვით (ივნისი, ივლისი, [აგ]ვისტო) და მისი მიზანია [გ]ამოწვეულ ტერ-არმიელთა [წ]ინასწარი მომზადება; ამ სამ [თ]ვიანი მომზადების შემდეგ [ის]ინი უნდა ჩაირიცხონ შტატ[შ]ი, როგორც ცვალებად შე[მა]დგენლობის არმიელები.

[მ]აგრამ ამ წელში, როგორც [ჩ]ანს, განსაკუთრებულ პირო[ბ]ების გამო, 1-ლ სამ თვიან [შ]ეკრებაზე გამოწვეული, 1902 [წ]ელში დაბადებული ტერ-არ[მი]ელები მოგვიხდება დავაკა[ვ]ოდ კიდევ ერთი თვე, რათა [ს]აშუალება მივცეთ იმათ მო[ნ]აწილეობა მიიღონ წარსული, [ა]მი ჰასაკის საერთო შეკრე[ბა]ში, რომელიც განზრახულია [ს]ექტემბერში ერთი თვით.

ეს ამოცანა ჩვენი ეკონო[მი]ური პირობების გამო საკ[მ]აოდ ძნელია და მოითხოვს ყვე[ლ]ა საზოგადოებრივ და პარ[ტ]იულ ორგანოების მხრივ ძა[ლ]ების მაქსიმალურ დაჭიმვას, [რ]ათა მუშაობა არ შეფერხდეს [და] სათანადოდ ჩატარდეს.

პირველ ყოვლისა საჭიროა [გ]ატად მოფიქრებული მიდგომა მეთაურ-პოლიტშემადგენლობის მხრივ ამ მოსამზადებელ მუშაობისადმი, რათა არ შეილახოს ტერსისტემის უპირატესობა და ავტორიტეტი მოსახლეობის თვალში. მეთაურთა და პოლიტშემადგენლობამ აუცილებლად უნდა შეჰქმნან მჭიდრო კონტაქტი პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან და გამოიჩინონ მეტი აქტიურობა მათ ჩასაბამად საერთო საქმეში.

აუცილებელია აგრეთვე პარტიულ და საბჭოთა ხაზით მიცემულ იქნას სწორი ინსტრუქციები იმ პირთა მოვალეობის შესახებ, რომელთაც უშუალო ურთი ერთობა აქვთ ტერნაწილებთან,-რათა ნიადაგი მოუმზადდეს იმ შეხედულებას, რომ შეკრების მომზადებისა და უზრუნველყოფის ამოცანა არა მარტო სამხედრო აპარატის საქმეა, არამედ ყველა სახელმწიფოებრივ ორგანოების.

თუ ყველასათვის არ იქნება ნათელი თავიანთი მოვალეობა და პასუხისმგებლობა, იმ შემთხვევაში ტერშეკრება ვერ ჩატარდება სათანადოდ, რაიც ზიანს მოუტანს საერთოდ ტერიტორიალურ სისტემის განხორციელებასა და საჭირო სიმაღლეზე მის დაყენებას.

ერ.

## [1]902 წელში დაბადებულ ახალწვეულთა მომზადება [პ]ოლიტ-ცოდნისა და საერთო განათლების საქმეში.

[ს]ჩქარა მოიყრიან თავს სამ[თ]ვიან შეკრებაზე დაზგას, თოხ[ს] და გუთანზე მომუშავე ახალ[წვ]ეულები.

მოვლენ ყაზარმაში ადამია[ნ]ები, რომლებმაც მეტ-ნაწილათ [არ] იციან ან მცირედ იციან [წე]რა-კითხვა, რომლებიც არ[ასო]დ არ მოშორებიან თავიანთ [და]ზგასა და გუთანს და უმეტეს [შ]ემთხვევაში გზაც კი არ იციან [თა]ვის სამაზრო ქალაქისა და [ს]ოფლისაკენ; მოვლენ წითელ [არ]მიაში იმ იმედით, რომ შეი[ს]წავლიან საბჭოთა ხელისუფ[ლ]ების პოლიტიკას, გაეცნო[ბი]ან საბჭოთა კავშირის აღმშე[ნე]ბლობას; მოისურვებენ გაე[ცნ]ონ კაპიტალისტურ ქვეყნებ[ში] კაპიტალის უღელ ქვეშ შე[ბოჭ]ილ მუშებისა და გლეხების [ც]ხოვრებას, და ბოლოს მოი[სუ]რვებენ ისწავლონ წერა, კი[თხ]ვა და ანგარიში.

შეკრების ვადა—სამი თვე, [ძა]ლიან ცოტაა, ხოლო სამუ[შა]ო კი—აუარება.

თავისუფალ საბჭოთა რესპუ[ბ]ლიკის თავისუფალი მოქალა[ქი]სათვის წერა კითხვა იგივეა, [რა]ც თევზისთვის წყალი. წერა [კი]თხვის უცოდინარი ადამიანი [ბრ]მაა და უცოდინარი ახალ[წვ]ეული ვერ ისწავლის, თუ [რო]გორ უნდა დაამარცხოს მტე[რი] თანამედროვე ტეხნიკის გან[ვი]თარებულ პირობებში. ამი[ტ]ომ მეთაურ-პოლიტშემადგენ[ლ]ობის წინაშე ძირითადი ამოცანა იქნება შემდეგი: 1) ასწავლოს ახალ წვეულებს წერა-კითხვა, 2) ასწავლოს გარკვევა შინაო და საგარეო გარემოებაში დღევანდელ პირობებში და 3) ასწავლოს თუ როგორ უნდა ეჩხუბოს კაპიტალიზმს აშკარა ბრძოლაში.

ეს ამოცანები, როგორც ვხედავთ, ადვილი არ არის. მაგრამ მათი გადაჭრა და სავსებით ასრულება აუცილებელია. ეძლევა რა დიდი მნიშვნელობა წერა-კითხვის ცოდნას, მეცადინეობის პროგრამაში ახალწვეულებისათვის, რომლებშიაც მოიპოვებიან წერა-კითხვის უცოდინარნი ან მეტად მცირე მცოდნენი, მეცადინეობას ეთმობა დღიურად ორ-ორი საათი და ერთი საათიც—პოლიტცოდნას, რის გამოც ახალწვეულთა ამ ჯგუფს უნდა გაუდიდდეს სამუშაო დღე 7-დან რვა სამუშაო საათამდი დღეში.

თუ რომ ნაწილის კადრის შემადგენლობა ენერგიულ, მოფიქრებულ და შეთანხმებულ მუშაობას აწარმოებს, ჩააბამს აქტიურ მუშაობაში წერა-კითხვის მცოდნე წითელ-არმიელებს და ჩაატარებს ამ ნაირად მეცადინეობას სუსტად მომზადებულ, ან სრულიად მოუმზადებელ ახალწვეულთა შორის, ეს დასახული მძიმე ამოცანები სავსებით გადაჭრილ და ასრულებულ იქნება. ხოლო ამ ამოცანების სრული ასრულებით ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ სოფლად გვეყოლება ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის ყველა მითითება—დარიგებათა გამტარებელი და კარგი მეომარი იმ შემთხვევისათვის, როცა საჭირო იქნება შევებათ აშკარა ბრძოლაში გახრწნილ კაპიტალიზმს.

ი. ბარ.



# ვემზადებით საბანაკოთ.

სამხედრო პოლიტ-სკოლა უკვე შეუდგა საბანაკოთ გასვლის სამზადისს. კურსანტები დიდ ფაცა—ფუცში არიან. ყველა ალაგებს თავის წიგნებს, საწოლს და სხვა, რაც აუცილებლათ საჭიროა ბანაკათ ყოფნის დროს.

კომუჯრედი ალაგებს თავის საქმეებს, ოქმების წიგნებს და სხვა, რომ წაიღოს და გააგრძელოს მუშაობა ბანაკში. სამკითხველოშიაც გაცხარებული მუშაობაა; არჩევენ წიგნებს, თუ რომელი უფრო გამოსადეგი იქნება ბანაკათ ყოფნის დროს გლეხობაში სოფლად მუშაობისათვის.

ჩვენ „საყვარელ ელიოზსაც“ არ სძინავს. ის ემზადება, რომ კარგათ მოგვიწყოს ბანაკში კლუბი, რისთვისაც ალაგებს ყუთებში ინვენტარს, პლაკატებს, სახატავებს, საღებავებს და სხვა.

სამნეო ნაწილიც ალაგებს ყოველგვარ ინვენტარებს,რაც საჭიროა ბანაკათ ყოფნის დროს, რომ სკოლა იქნეს ყოველი მხრით უზრუნველყოფილი. სკოლის მიერ უკვე გაგზავნილია წინასწარ რამოდენიმე კურსანტი, რომ დაიჭირონ საბანაკო ადგილი და მოამზადონ ყველაფერი.

ასე ამ რიგათ ჩვენი სკოლის მთელი შემადგენლობა გახურებულ მზადებაშია საბანაკოთ გასასვლელად.

სამხკორი წ. თავართქილაძე.

# უვადო შვებულებაში წასულ ყოფ. წითელ არმიელის წერილი სოფლიდან.

**1-ლ ქ. მ. ლეგიონის სამხკომს, ლეგთავს, უფ-პოლიტ-შემადგენლობას და წითელ არმიელებს.**

ძვირფასო ამხანაგებო! მოგესალმებით უვადო შვებულებაში წასული ყოფ. წითელი არმიელი და გისურვებთ ცხოვრებაში წინსვლას და მხნეთ დგომას რევოლიუციის სადარაჯოზე. ამხანაგებო! თქვენ იცით თუ რას იძლევა ჩვენი წითელი ყაზარმა—სკოლა.

ჩვენ 1900-1 წ. წ. დაბადებულმა წითელ არმიელებმა, ულარიბეს მუშებისა და გლეხების შვილებმა და სრულიად უსწავლელებმა წითელ ყაზარმაში მივიღეთ სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა. ჩვენ ეს ცოდნა გამოვიყენეთ სოფლად მუშაობაში უვადო შვებულებაში დაბრუნების შემდეგ.

ამასთანავე ერთად მინდა გაცნობოთ ჩვენი სოფლის მდგომარეობა. ჩვენს სოფელში ყოველივე თავის რიგზეა. ჩვენ გვაქვს ორი კოოპერატივი, გლეხკომი, კლუბი, ქოხ-სამკითხველო, ბავშვთა ორგანიზაცია, შრომის სკოლა. სოფელი ღებულობს „კომუნისტს, „ახალ-სოფელს“, „წითელ არმიელს“ და სხვა გაზეთებს.

რომ შევინარჩუნოთ ოქტომბრის მონაპოვარი, წითელი არმია მუდამ ფხიზლად უნდა იდგეს მის სადარაჯოზე.. ჩვენ კი უვადო შვებულებაში მყოფი ყოფ. წითელი არმიელები მზად ვიქნებით პირველ დაძახებისთანავე ჩავდგეთ წითელი არმიის რიგებში და ვიბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, მანამ, სანამ არ გავანთავისუფლებთ მთელი მსოფლიოს მშრომელ ხალხს.

ყოფ. წ. არმ. დიმიტრი ლოთეშვილი.
სოფ. ატენი, გორის მაზრა.

# ნეტავ ვინ მიაქცევს ყურადღებას?

1-ლი ლეგიონის საბანაკოთ გასვლის შემდეგ ამავე ლეგიონის სამნეო გუნდის საქმე სულ აირია. ამ გუნდის წითელ-არმიელებში დიდ უკმაყოფილებას აქვს ადგილი. უბინობის გამო 26 წითელი-არმიელი იმყოფება ცუდ მდგომარეობაში.

ლეგიონის ბანაკათ გასვლის შემდეგ სამნეო გუნდის წითელი-არმიელები, რომელნიც ყაზარმებში ცხოვრობდენ, ეხლა მოათავსეს ერთ უვარგის შენობაში გომურში, სადაც წინად ღორებს აცხოვრებდენ და ეტლებს ინახავდენ. ამ გომურში ადამიანის ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია.

გომური საშინელი ნესტიანია, კედლები დალრუტნული და ჩამონგრეულია, ჭერიდან სცვივა მტვერი, შიგ სდგას საშინელი სუნი და სხვა.

არავინ ამ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევს. უფრო კარგ ოთახში უფ-შემადგენლობამ გამართა სასადილო.

ნუ თუ ეს დასაშვებია. რატომ არ ფიქრობენ, რომ ამ შენობაში ცხოვრება არ შეუძლიათ წითელ-არმიელებს.

ვთხოვთ ლეგიონის მესვეურებს მოგვაქციონ სასწრაფო ყურადღება და გამოგვიყვანონ ამ მდგომარეობიდან, თორემ ზაფხულის ამ სიცხეებში აქ აუცილებლათ თავს იჩენს გადამდები ავათმყოფობანი.

სამხკორი წ. ა. მოყვარული.

# სანამდე უნდა ვიყნეთ ასე?

**2 რე არტლეგ. მნეს საყურადღებოთ.**

მეორე საარტილერიო ლეგიონის საგაუბიცო ბატარეიის წითელ არმიელებს სრულიად არ გვექცევა საჭირო ყურადღება. ჩვენი მნე თითქმის არც კი ფიქრობს ჩვენზე. მაშ რით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ დღემდე ჩვენს ბატარეიას არა ყავს ექიმი და არც სხვა რომელიმე ნაწილთან ვართ მიმაგრებული საექიმო დახმარების გასაწევად. ამას გარდა ნაწილის არმიელებს ეხლაც გვახურავს საზამთრო ცხელი შლემები თავზე, რომლებიც თითქმის აუტანელი ხდებიან ამ სიცხეებში.

არა გვაქვს ფეხის საწმენდი ჩოთქები და ქონი. ბატარეიაში არ არის საპარიკმახეროს ხელსაწყობი. თავები ვერ გაგვიკრეჭია და თმა გაშვებული გვიხდება სიცხეში სიარული.

საჭიროა ჩვენმა მნემ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას. გაგვიხსენოს ჩვენც და მიიღოს ზომები ნაწილის ნაკლულოვანებების გამოსასწორებლად.

წ. არმ. სკვინჩა.

# სამხკორო!

1. სწერე, როგორ მოეწყვეთ ბანაკათ და რა მონაწილეობა მიიღო თქვენმა ნაწილმა მის მოწყობაში?
2. როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ახალწვეულებზე საბანაკოთ გასვლამ?
3. მუდამ გახსოვდეს შენი გაზეთი; მოაწოდე კორესპონდენციები ხშირ ხშირად.

ერთ წუთს ნუ გასწყვეტ მასთან კავშირს!

# სამხკორთა შენიშვნების შედეგად.

**სამხედრო პროკურორი ამხ. ხიხაძე გვატყობინებს, რომ ჩვენი გაზეთის № 109-ში მოთავსებულ სამხკორის შენიშვნაზე „ვახშამი ცუდი გვეძლევა“, სამხედრო პროკურატურამ მოითხოვა ახსნა განმარტება ნ-წილის უფროსისაგან.**

# ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.

**პასუხათ ამხ. ალ. ბატკანაძეს.**

ამხ. ალ. ბატკანაძეს გაზეთ „წითელ არმიელის“ № 101-ში მოთავსებული აქვს წერილი მე-3-მე ათასეულის სამზარეულოს შესახებ, სადაც ის ეხება სადილის უვარგისობას, ვითომდა სადილი ცუდი მზადდებოდეს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მორიგეობითი მზარეულობა შემოიღესო. ეს არ შეეფერება სიმართლეს.

მორიგეობითი მზარეულობა იმიტომ იქნა შემოღებული ათასეულში რომ ცოტანი ვართ, იგიც უნცროსი მეთაურები და ვფიქრობდით მეცადინეობას არ ჩამორჩენოდა ამათში ერთი ვინმე.

ამას გარდა დახელოვნებული მზარეული ათასეულს არ ყავდა. რაც შეეხება იმას რომ სადილის უვარგისობის გამო მუცლის ტკივილი ასტეხოდეს რომელიმე ჩვენგანს, ეს ტკვილი სრულებით სიყალბეა. ჯერ არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა ვინმე წითელ არმიელს მუცლის ტკივილი ასტეხოდეს საჭმელის მიზეზით. საჭმელი ათასეულში კარგი მზადდება, და არ ვიცი რამ აიძულა ამხ. ბატკანაძე ასეთი სიყალბე რომ დასწერა.

სამხკორი ყულისკარელი.

# ვემზადებით შესახვედრად.

**მეექვსე ლეგიონი.**

ჩვენი ლეგიონის მთელი შემადგენლობა უკვე შეუდგა მზადებას მომავალ ცვალებად შემადგენლობის დასახვედრად.

მეცადინეობა შვიდ-რვა საათს გრძელდება დღეში, როგორც მეთაურებთან ისე პოლიტშემადგენლობასთან. ჩვენი მთავარი მიზანია გამეორება უკვე შეძენილი ცოდნის და უფრო კარგად მომზადება. ყველა წამოჭრილი პრაქტიკული საკითხები წყდება საჭირო მიდგომით, რომ ერთნაირად ვაწარმოოთ ცვალებადებთან მეცადინეობა.

ასეთივე გაცხოველებული მუშაობაა საკლუბო და საბიბლიოთეკო დარგებშიც.

იმედი გვაქვს ცვალებად შემადგენლობის მოსვლით ჩვენი მოსამზადებელი პერიოდის საქმიანობა უფრო გამოამჟღავნებს ჩვენ მიღწევებს.

მეთ. ნ. წულაია.

# ჩვენი ტრიბუნალის საყურადღებოთ.

როგორც დანამდვილებით გავიგე ჩვენ ტრიბუნალში ამ ჟამად მუშაობს თანამშრომლად მოქ. ასათიანი, რომელიც წასულ წელს თვით ტრიბუნალმა სამსახურის ბოროტად გამოყენებისათვის დამნაშავის სკამზე დასვა და ტრიბუნალიდან გააძევა.

დღეს ზემოხსენებულ ასათიანს კიდევ მოუხერხებია და

შემძვრალა იქ, საიდანაც გამოაძევეს ბოროტ—მოქმედებისათვის.

გასაკვირია, საიდან მოხვდა ტრიბუნალში მოქ. ასათიანი! ნუ თუ ეს დასაშვებია! მით უმეტეს ისეთ დაწესებულებაში, როგორც ტრიბუნალი არის. ტრიბუნალმა თვით უნდა დაიცვას თავისი დადგენილება და მით კი თავისი მაღალი ავტორიტეტი. ასათიანმა საჯაროთ გვიჩვენა თუ რამდენად ღირსია ის რევოლიუციონურ კანონიერების დამცველ ორგანოში მუშაობისა. თავისი ყოფნით ტრიბუნალში ის მხოლოთ ჩირქს სცხებს ამ დაწესებულებას.

დროა ის კვლავ და უკანასკნელად გაძევებულ იქნას ტრიბუნალიდან! **ბელზებელი.**

## ჩვენი პასუხი.

**1-ლ ლეგ. მეორე ასეული.**

გაზ. „წითელ არმიელში" მოთავსებული მოწინავე წერილის გამო გაზეთის გამოწერის შესახებ სპეციალურად მოწვეული იქნა ასეულის გაერთიანებული კრება, სადაც წაიკითხეს და სათანადო ახსნა განმარტება მიეცა წერილს.

ამას შემდეგ ასეულის სამხკორმა მოუწოდა კრებას გამოხმაურებოდენ წერილს, რაც ერთხმად იქნა მიღებული.

შამოვიდა შემდეგი ხასიათის წინადადება.

„ჩვენ გვწამს რომ გაზეთი „წითელ არმიელი" არის ჩვენი ჯარის, ჩვენი ქართულ დივიზიების სარკე.

უამისოთ ჩვენ ბევრი ნაკლი შეუმჩნეველი დაგვრჩება და რომ მან იარსებოს, გაშალოს თავისი ფრთები, და გავიდეს ფართო მასაში, ჩვენი ასეულის მასშტაბით გადაიდოს ყოველ თვიურად წითელ არმიელთაგან 10 კაპ. უნცროს მეთაურთაგან 25 კაპ. და უფროს მეთაურთაგან 60 კაპ. აღნიშნული თანხიდან პირველი ლეგიონის მეორე ასეულმა უშუალოთ გამოიწეროს რედაქციისაგან ყოველ თვიურად 15 ცალი გაზეთი „წითელი არმიელი", მხოლოდ ის გაზეთები, რომლებსაც მას აძლევს ლეგიონის სამკითხველო სრულიად შეეწიროს გაზეთის რედაქციას".

ზემოთ აღნიშნულ დადგენილებას ხელმძღვანელი კომისია სისრულეში მოიყვანს პირველი ივნისიდან.

პირველი ივნისიდან ჩვენი ასეული უფასოდ გაზეთ წითელ არმიელს აღარ მიიღებს.

ჩვენი ასეულის ახალწვეულებმა ეს სიხარულით მიიღეს.

ისინიც კი რომლებმაც ჯერ კითხვა არ იციან, დაჟინებით მოითხოვდენ თვეში აბაზის გადადებას.

მაშინ როდესაც გუშინ მოსულმა ხალხმა ასეთი შეგნება გამოიჩინეს, ეჰვს გარეშეა ძველი წითელი არმიელები და საერთოდ ძველი ასეულები უფრო უკეთეს საშუალებას გამოსძებნიან და ამ მხრივ პირველი ლეგიონი მაგალითს უჩვენებს სხვებს.

მიჰბაძეთ ლეგიონის მეორე ასეულს, გამოიწერეთ გაზ. „წითელი არმიელი".

სამხკორი **შ. თელია.**

## საქართ. უმაღლეს ეკონომ. საბჭოში.

— **ბორჯომის კომბინატი.** საგეგმო კომისიისა და იუსტიციის სახ. კომისარიატის დასკვნის თანახმად უმ. ეკ. საბჭომ დაამტკიცა ბორჯომის კომბინატის დებულება.

— **უმაღლ. ეკ. საბჭომ** წინადადება მისცა ყველა სამეურნეო დაწესებულებებს საჩქაროთ წარმოადგინონ თავიანთი ბალანსები უმაღ. საბჭოსთან არსებულ საუწყებათაშორისო კომისიაში—განსახილველათ.

— **დასასვენებელი სახლების მოწყობა.** უმ. ეკ. საბჭომ დააკმაყოფილა საქ. პროფსაბჭოს შუამდგომლობა და გადასცა მას დასასვენებელი სახლების მოსაწყობათ კეჩხობში ყველა სახლები და სურამში და ბორჯომში თითო სახლი.

— **ოზურგეთ ჩოხატაურის** რკ.-გზა. უმ. ეკ. საბჭომ წინადადება მისცა გზა-ტკეცილების სამმართველოს გადასცეს 1000 მანეთი ოზურგეთ-ჩოხატაურის რკ.-გზის წინასწარ გამოსაკვლევათ.

## ამბები სოფლებიდან.

**ალმასკომის შენობის შეკეთება.**

სოფ. აკურაში (თელ. მაზრა) გლეხები შეუდგენ ალმასკომის შენობის შეკეთებას.

**აბანოს შეკეთება.**

სოფ. ბუგეულში (ქვემო რაჭა) გლეხკომმა შეაკეთა ადგილობრივი აბანო. აბანოზე აუარებელი გლეხობა მიდის ახლო-მახლო სოფლებიდან.

**თესლის შესაძენათ.**

საჩხერეს თემალმასკომს გადაეცა, მთავრობის მიერ გადადებული სათესლე სესხათ გაცემული თანხიდან, ათასი მანეთი, გლეხებისათვის სათესლე სესხის დასარიგებლათ.

**გვალვა სამეგრელოში.**

სენაკიდან ჩამოსულთა სიტყვით სამეგრელოში ეს ერთი ხანებია გვალვები გადგა და წვიმები არ მოსულა.

**გლეხების კვების გამოკვლევა.**

სენაკის ალმასკომი შეუდგა მაზრაში გლეხების კვების გამოკვლევას.

## ახალი ამბები.

— **შემოსავალი ელექტრო-სადგურებიდან.** ტფილ. ელექტრო სადგურების სამმართველოს აპრილის განმავლობაში შემოსვლია 87.039 მანეთი და დაუხარჯავს 84.988 მან.

— **საბიბლიოთეკო გამოფენა.** კვირას შუადღის 12 საათზე სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლში (ყოფ პუშკინის ბიბლიოთ.) გაიხსნება საბიბლიოთეკო მიღწევათა გამოფენა.

— **შრომის სახალხო კომისარიატი** ივნისის პირველ რიცხვებში ჭიათურაში გზავნის სამეცნიერო--საექიმო კომისიას ჭიათურის მუშების ჯანმრთელობის გამოსაკვლევად.

— **ზედმეტი მიწის** მესაკუთრეებს მიმდინარე წლის განმავლობაში მიწ. მოქ. კომისარიატმა ჩამოართვა 381 დესეტინა მცირე მიწის მქონეთათვის დასარიგებლათ.

— **მიწად-მოწყობა.** ა. წ. ქანიზაციის შემოსაღებათ იანვრიდან მაისამდე მიწად-მოწყობა დამთავრდა საქართველოს 16 სოფელში. მოწყობილია 3821 კომლი.

— **ჯანსახკომის გამოანგარიშებით** საქართველოში ყოველ ათას ავათმყოფზე 231 ციებ—ცხელებიანია.

— **კოოპერაციის გაძლიერება.** მიმდინარე წლის დასაწყისისთვის ცეკავშირი აერთიანებდა 160 კოოპერატივს 122 ათასი წევრით. მაისისთვის კოოპერატივთა რიცხვი ავიდა 164-მდე და წევრების 146 ათასამდე.

— **საექსკურსიო კურსები.** ცენტრ. საექსკურსიო ბიურო ახლო ხანში ხსნის მოკლე ვადიან საექსკურსიო კურსებს კლუბების მუშაკთათვის და მოხალისე მუშებისათვის.

— **მანქანების გამოწერა.** სატყეო ტრესტმა გამოიწერა საზღვარ გარეთიდან მანქანები ფეხსაცმელების ქარხნებში მე-

## მეცნიერება და ტეხნიკა

**ვინ იყო რადიოს პირველი გამომგონებელი.**

ვინ გამოიგონა პირველად რადიო ტელეგრაფი, პოპოვმა (რუსი) თუ მარკონიმ? (იტალიელი ინჟინერია).

როგორც რუსეთის ისე უცხოეთის საზოგადოებრივი აზრი ლაპარაკობს პოპოვის სასარგებლოდ, რადგანაც მიუდგომელი ისტორია თანდათან აშკარავებს ამ გამოგონების შესახებ უტყუარ ფაქტებსა და საბუთებს, რომლებიც მჭერმეტყველურად ამტკიცებენ რომ A. Г. პოპოვმა მისცა რადიო ტელეგრაფს თითქმის ყველაფერი.

მარკონიმ მხოლოდ გააუმჯობესა და განავითარა პოპოვის სქემა და ამნაირად პატენტი აიღო თავის თითქო ორიგინალურ გამოგონებაზე.

1922 წელში მარკონის ერთმა თანამოაზრემ გამოაქვეყნა რადიო ტელეგრაფის განვითარების ისტორია, სადაც სხვათა შორის მოხსენებულია, რომ 1898 წ. როდესაც მარკონი მხოლოდ იწყებდა ცდებს თავის გამოგონებაში, პოპოვი თავისი აპარატით უკვე რამოდენიმე მილის მანძილზე გადასცემდა ბგერებს.

პოპოვის მუშაობის მთელი ღირებულება იმაში გამოიხატებოდა, რომ მან შესძლო არა მარტო უბრალოდ გადაესროლა სივრცეში რადიო ტალღები, არამედ ისინი იძლეოდენ პირობითი ნიშნებსაც—სიგნალს.

ამნაირად პოპოვმა შექმნა რადიო აპარატის ის სქემა, რომელსაც აქამდე წარმატებით იყენებს მსოფლიო რადიო ტეხნიკა. (წვრილმანები რა თქმა უნდა გაუმჯობესებულია.)

შეიძლება თუ არა ჩაითვალოს მარკონის გამოგონებად, „ქოლგისებური ანძა"? რა თქმა უნდა, არა.

ესეც პოპოვის „ქოლგისებური ვიბრატორია", მაგრამ ასჯერ უფრო გადიდებული.

საქმე იმაშია მხოლოდ, რომ პოპოვს საშუალება არ ჰქონდა გაეუმჯობესებია თავისი გამოგონება და არც მეფის მთავრობა ეხმარებოდა მას ამაში.

იმ დროს, როდესაც მეფის საზღვაო სამინისტრომ უარი უთხრა პოპოვს 200—300 მანეთის დახმარების გაღებაზე, და განუცხადეს მას, თითქოს სისულელე ყოფილიყო მისი აღმოჩენა, მარკონის კამპანიას ინგლისში უკვე მთელი ფირმა ჰქონდა ათი ათასი მანეთიანი კაპიტალით. როდესაც იფეთქა რუსეთ—იაპონიის ომმა, რადიო აპარატების დამზადება ხელში ჰქონდათ უკვე ჩაგდებული: 60 პროც. გერმანელებს 37 პროც. მარკონის ფირმას და 3 პროც. რუსეთს.

მეფის მთავრობამ ოდესღაც 200—300 მანეთის გაცემა არ ისურვა თავის თანამემამულეზე დიდი აღმოჩენის გასაუმჯობესებლად და მას სისულელე უწოდა, ხოლო შემდეგ 35 ათას მანეთს იხდიდა უცხოეთში დამზადებულ ასეთივე თითეულ ორ კილორეატიან რადიო სადგურში.

ამ ჟამად ირკვევა, რომ მარკონიმ არა თუ რაიმე ორიგინალური მისცა რადიო ტეხნიკას, არამედ უსწორო გზით წაიყვანა მისი განვითარება, რომელიც გამოიხატებოდა რაც შეიძლება მეტი სიგრძის რადიო ტალღების მიღებაში.

ჩვენი დროის რადიო ტეხნიკა უბრუნდება ისევ მოკლე რადიო-ტალღების შემოღებას ე. ი. სხვანაირად რომ ვსთქვათ, რუსი გამომგონებელის—პოპოვის პირველ სქემას.

## აბა გამოიცანი?

**ამოცანა № 26.**

პალმის ქვეშ ისხდენ ორი არაბი და სადილისთვის ემზადებოდენ. ამ დროს მივიდა მათთან მესამე არაბი და შესთავაზა დამხვდურებს თავის საგზალი იმ პირობით, რომ შემდეგ სამივეს თანასწორად გაენაწილებიათ სადილი.

პირველს ჰქონდა ერთი დოქი რძე, მეორეს ერთი პური და მესამეს კი ექვსი დიდი ხურმა.

სადილის გათავების შემდეგ მესამე არაბმა სთქვა: რადგანაც ორივე თქვენთაგანს მეტი საგზალი გქონდათ ჩემზე, აი თქვენ 20 გროში და გაიყავითო.

როგორ უნდა გაენაწილებიათ არაბებს ეს ფული, თუ 4 დოქი რძე იმდენი ღირს, რამდენიც სამი პური, ხოლო ერთი დოქი რძე იმდენი, რამდენიც 36 ხურმა?

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. წიწაკას.** კორესპონდენცია „მოგვაქციეთ ყურადღება" არ გავა. გამოიყენეთ კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. ფეხმარდს.** თქვენი წერილი: „ყური უგდეთ ასეთებს" და „უფროლიტშემადგენლობის გამგზავრება" არ გამოგვადგა.

**ამხ. მ—სკი ს.** წერილი პირველ მაისობაზე არ გავა. დაგვიანებულია.

**ამხ. დ შანშიაშვილს.** თქვენი წერილი „ახალწვეულის გაცნობა წითელი არმიის ცხოვრებასთან" არ დაიბეჭდება. ნუ თუ არ იცით რომ გადამტანი ქაღალდის საშუალებით სარედაქციო წერილების წერა და ისიც ორივე გვერდზე და წალმა უკულმა დაუშვებელია? სწერეთ სუფთად და ცალ გვერდზე.

## პასუხი შეკითხვებზე.

**წ. არმ. კოპალეიშვილს და ას. მოკეკიშვილს.** თქვენ მიერ აღძრულ საკითხზე პასუხის მიღება შეგიძლიათ ლეგთავისაგან.

**წ. არ. ალ. ხარებაშვილს.** თქვენ თუ გსურთ დარჩეთ საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების წევრად, სულ ერთია, იქნებით წითელ ჯარის რიგებში, თუ მის გარეშე, ვალდებული ხართ იხადოთ, წესდებით დაწესებული, წლიური საწევრო გადასახადი.

პასუხის მგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**


## განცხადებები

ქ. წ. დ. არმიის ტფილისის საოლქოსანივთო საწყობთან არსებული სავაჭრო კომისია

ა ც ხ ა დ ე ბ ს, რომ კვირას, ამა წლის 24 მაისს, დილის 11 საათზე საწყობის შენობაში (ნავთლუღში) დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა.

არმიისათვის გამოუსადეგარი ქონების გასასყიდად. სახელდობრ გაიყიდება სხვა და სხვა გვარი ძველი ნივთები, ცხენების მოსართავები, სხვადასხვა ზომის ხამუტები, ხამუტების ქვე-სასთუმლები, წელსამაგრები, კეხები მოსართავებით, სადავეები აღვირებით, ცხენებისა და აქლემების მკერდ-საკრავები, ნალები, საჭედი ლურსმანი, ყაზახური უზანგები, სხვა და სხვა თოქალთოები და სარბილობელი ნაბდები, რეზინგავლებული ტილოები, ცომოლის ინგლისური ქუდები, სასწვრები, ხელსაწვრები, ფრანგული, საჰინჰილაქო და ღერძსამაგრების გალაღებები, გუთნები, სანიავებლები და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ხელსაწყობები, ნადნობი ლითონი, საკერავ მანქანების ნატეხები და სხვა ნაწილები, დამტვრეული საწოლები, რკინის, თუჯის და თუნუქის ნამტვრევი, ღერძები, რესორები და სხვა ნივთები.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ ზემო-ჩამოთვლილი ქონების დათვალიერება შეუძლიათ საჯარო ვაჭრობის დღეს, დილის 10 საათიდან.

**სავაჭრო კომისია.**


## ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქ. სამხ. პოლიტიკურ სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიის კანდიდატობიდან-პარტიის წევრებად გადარიცხვ ს შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) კვარანცხელია გიორგი სამსონისძეს, 2) ძიძიტაშვილი ნიკოლოზ პეპოსძეს 3) კუპარიშვილი გიორგი ლუკასძეს.

და ახ. კომკავშირის წევრებს პარტიის კანდიდატათ გადასარიცხავათ 1 მდინარაძე ვალერიანე ივანესძე 2) კაკუშაძე ირაკლი მაქსიმესძეს 3) პუდოვ ნიკოლოზ იაკობისძეს ზემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების საწინააღმდეგო თუ ვინმეს რაიმე აქვს ვთხოვთ გვაცნობონ სამხ. პოლიტსკოლის კომუჯრედში.

კომუჯრედის მდივ. **მითაიშვილი.**

ნ. დ. ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.